„მეგობართა წრის“ გავლენა სსსმ მოსწავლის კლასელებთან სოციალური ინტერაქციის განვითარებაში

მარიამ დვალი

მაია გიგაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გოგიჩაძე

ილიას სახელიწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ დვალი

მაია გიგაური

20.06.2023“.

აბსტრაქტი

კვლევა ემსახურებოდა ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისა და მისი თანაკლასელების სოციალური ინტერაქციის გაუმჯობესების აღწერას, „მეგობართა წრის“ ინტერვენციის მსვლელობისას. კვლევა აღწერითი ხასიათისაა და მისი დიზაინი მოიცავდა ინტერვენციის მიმდინარეობისას ვიდეო ჩანაწერის შექმნასა და სამიზნე ბავშვის მასწავლებლებისა და მშობლის გამოკითხვას. ვიდეო ჩანაწერები გაანალიზდა სოციალური ინტერაქციის ქცევითი კოდების გამოყენებით. გამოვლინდა დადებითი ცვლილებები სამიზნე მოსწავლის სოციალურ ინტერაქციასა და თანაკლასელებთან გაზრდილი ჩართულობის სახით.

წარმოდეგნილი კვლევით ილუსტრირებულია „მეგობართა წრის“ ინტერვენციის პროცესის ეფექტურობასთან დაკავშირებული საკითხები, მოსწავლეთა სოციალური ინტერაქციის გაძლიერებისა და თანატოლების მხრიდან სოციალურად მხარდამჭერი გარემოს შექმნის პერპექტივიდან.

კვლევაში აღწერილი შემთხვევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს დაეხმარება სკოლაში სოციალური ურთიერთობის განვითარებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მეგობართა წრე, სსსმ მოსწავლე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები, სოციალური ინტერაქცია, თანატოლთა ურთიერთობები.

Abstract

The study was conducted to describe the improvement of social interaction in one student with special educational needs and his classmates following a "circle of friends" intervention. The study is descriptive in nature, and its design included video recording during the intervention, as well as interviews with the target child's teacher and parent. The video recordings were analyzed using social interaction behavioral codes, which revealed positive changes in the target student's social interactions and increased engagement with classmates.

The presented study illustrates issues related to the effectiveness of the "Circle of Friends" intervention process in enhancing students' social interaction and creating a socially supportive peer environment. The case described in the study will contribute to supporting the development of social relationships among students with educational needs at school.

Key Words: Circle of Friends intervention, Special educational needs, Social interaction, Peer environment, special educational needs student.

მადლობა

მადლობას მოვახსენებთ ჩვენს ხელმძღვანელს, ნინო გოგიჩაძეს, იმ დახმარებისთვის, რომელიც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს გაგვიწია. მისი რჩევები და რეკომენდაციები სწორ მიმართულებას გვაძლევდა მუშაობის პროცესში.მადლობას ვუხდით რესპონდენტებს, რომლებმაც დაგვითმეს ძვირფასი დრო და ამით უდიდესი დახმარება გაგვიწიეს კვლევის პროცესში.ასევე, მადლობა ჩვენს ოჯახებს, რომლებმაც მოგვცეს მოტივაცია, სიმტკიცე და გამბედაობა.